



პროლეტარებო ეველა ქვეულისა, შუქრთაღოთი

◆◆◆◆◆ ფ ა ს ი ◆◆◆◆◆
კერძო პირთათვის 15.000 მანეთი.
სახელმწიფო დაწეს. 10.000 მანეთი.

წელიწადი
მომკა

მთაბე

სამშაბათი,
სექტემბრის 5.
1922 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 39

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 39

ჟურნალ „მთაბე“-ს რედაქციისაგან.

ეველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და სასოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საუურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ეურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ეველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მომწერის ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოასკობათ ჟურნალის გზავნა.

ეოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—10.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიავ დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების ვარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ეოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ

ცენტრ. აღმას. კომიტეტი.

დ ე ჯ უ ლ ე ბ ა

სხულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

საადგილ-მამულო დავათა განხილვის წესის შესახებ.

1. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა მიწათ-მოწყობასა და მიწათ-სარგებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილ უნდა იქნეს მარტოოდენ სამაზრო საადგილ-მამულო და ცენტრალურ საადგილ მამულო კომისიების მიერ.

2. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია და ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია განიხილავენ საქმეს არსებითად.

3. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია უნდა მოეწყოს თვითეული მაზრისათვის, ან სათანადო ადმინისტრაციული ერთეულისათვის. კომისია შესდგება: თავმჯდომარისაგან, რომელსაც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით დანიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და ორი წევრისაგან, რომელთა შორის ერთს წარადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო მეორეს იუსტიციის სახ. კომისარიატი, კომისიაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

4. ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია იმყოფება ტფილისში და შესდგება თავმჯდომარისა და ერთი მუდმივი წევრისაგან, რომელთაც დანიშნავს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი და აგრეთვე ერთი წევრისაგან, რომელსაც წარადგენს იუსტიციის სახ. კომისარი კომისიის შედგენილებაში მუდმივი მონაწილეობისათვის.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, უკეთეს კომისიის თავმჯდომარე ადგილობრივ არ იმყოფება მიწათმოქმედებს სახ. კომისარი დანიშნავს მის მოადგილეს.

5. სამაზრო საადგილ-მამულო კომისია შეუდგება საადგილ-მამულო საქმის წარმოებას დაინტერესებულ პირის ან დაწესებულების (მოძიგანის) თხოვნით და გადასწყვეტს საქმეს მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) მოწვევით, ამ უკანასკნელისაგან — უკეთეს იგი გამოცხადდება, ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ.

შენიშვნა: ახსნა-განმარტება შეიძლება წარდგენილ იქნეს კომისიაში დაბარების დღისათვის და წერილობითაც.

6. საქმეთა განხილვის წესი სამაზრო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიებში, მხარეთა წარმომადგენლობა, მოწვევა და მკოდნე პირთა დაბარება, მათი გასამრჯელო, შედეგები დაბარებულ პირთა გამოუცხადებლობისა და სხვ., განისაზღვრება სათანადო წესებით, რომელიც შემოღებულია საქმეთა განხილვისათვის სახალხო სასამართლოში.


შენიშვნა: საჩივარის თვითეული განცხადება შეფასებულ უნდა იქნეს; ბაჟი გადახდება საჩივრის ფასის 2%-ის რაოდენობისა; ამასთანავე სამაზრო კომისიას უფლება აქვს წარმოდგენილ საბუთების მიხედვით მიანიჭოს მოძიგანს სიღარიბის უფლება.

7. ვადა სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის განისაზღვრება ორი კვირით რეზოლიუციის გამოცხადების დღიდან. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიაში სამაზრო კომისიის მეშვეობით, რომელსაც გადაწყვეტილება გამოუტანია; სამაზრო კომისია წარადგენს დასახელებულ საჩივარს, მთელ საქმეს და თავის გადაწყვეტილებას, — საბოლოო ფორმით შედგენილს — ცენტრალურ კომისიაში სამი დღის განმავლობაში საჩივარის შეტანის დღიდან. იმავე ვადაზე ცენტრალურ კომისიაში უშუალოდ მიღებულ საჩივარი გადაეგზავნება კუთვნილებისამებრ სამაზრო კომისიას, ცენტრალურ კომისიაში წარსადგენათ საქმესთან ერთად.

შენიშვნა: ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიას უფლება აქვს დანიშნოს საქმის განხილვა ადგილობრივ რისთვისაც მოაწყობს პერიოდულ სესიებს.

8. ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესრულებულ უნდა იქნეს ისევე, როგორც განსაზღვრულ ვადაზე განუსაჩივრებელი გადაწყვეტილება სამაზრო კომისიისა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, რისთვისაც მოძიგანს ეძლევა საადგილ-მამულო კომისიიდან აღსრულების ფურცელი.

9. უმაღლესი ზედამხედველობა კომისიების მოქმედებისათვის მმართვებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს; უკეთეს ერთი თვის განმავლობა-



ში დღიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების დადგინებისა, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი სცნობს რომ კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საერთო საადგილ-მამულო პოლიტიკას, იგი ვააუქმებს ამ გადაწყვეტილებას და საქმეს გადასცემს სათანადო საადგილ-მამულო კომისიას კვლავ განსახილველად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. აგვისტოს 7. ტფილისი—სასახლე.

სსს. კომისართა საბჭო.

დეკრეტ № 11.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მოქალაქეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს მოქალაქედ ჩითვლება: ა) ყოველი ქართველი, რომელსაც სხვა სახელმწიფო მოქალაქეობის უფლება არ მიუღია, და ბ) ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი მოქალაქე, რომელიც ამა დეკრეტის გამოცემაზე უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მუდმივ სცხოვრობს საქართველოს მიწა-წყალზე და აქვს რესპუბლიკაში რაიმე საქმე.

2. წინა მუხლის „ბ“ პუნქტში მოხსენებულ პირს, უკეთუ მას 18 წელიწადი შესრულებია, უფლება ეძლევა ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა, განუცხადოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მას არ სურს დარჩეს საქართველოს მოქალაქედ.

3. საქართველოს მოქალაქედ ჩითვლება აგრეთვე:

- ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა,
- ბ) შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქის მიერ,
- გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა,

დ) უცხოელზედ გათხოვილი და შემდეგ დაქვრივებული ან განქორწინებული საქართველოს ყოველი მოქალაქე—ქალი, უკეთუ ის განაცხადებს რომ სურს კვლავ დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეობას; აღნიშნულ ქვრივს, ან განქორწინებული ქალის მცირე-წლოვანი შვილია ჩითვლება აგრეთვე საქართველოს მოქალაქედ;

ვ) უცხოელთა მცირეწლოვანი შვილი, უკეთუ მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას.

4. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა წყალზედ მცხოვრებ ყველა უცხოელს შეუძლიან მოიპოვოს ამ რესპუბლიკის მოქალაქის უფლება. ამისათვის მან შუამდგომლობით უნდა მიმართოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს—ქალაქისა ან მაზრისა და წარუდგინოს მას: ა) თავისი ვინაობის დამამტკიცებელი საბუთები, ბ) ცნობა წლოვანობისა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, და აგრეთვე იმის თაობაზე, იყო თუ არა იგი სასამართლოს მიერ დევნილი საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და, თუ იყო, როდის, სად და რა მოქმედებისათვის.

5. მთხოვნელის ვინაობა, უკეთუ მას წერილობითი საბუთები არ ექნება, დადასტურებულ უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეთა მიერ და შემოწმებულ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იმ წესით, როგორც ეს უკანასკნელი საჭიროდ სცნობს.

შენიშვნა: საქართველოს მოქალაქის უფლების მოსაპოვებლად განზრახ ყალბ ცნობის წარმოდგენისათვის დამნაშავე მიცემულ იქნება პასუხის გებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც ყალბი ჩვენების მიმცემი და შეიძლება მას ჩამოერთვას მოპოვებული უფლებანი.

6. უკეთუ მთხოვნელის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების ასლი უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს; უკეთუ კომისარიატმა ორი თვის განმავლობაში არ აცნობა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ იგი თანახმა არ არის მისი დადგენილებისა, ეს დადგენილება კანონიერ ძალაში შედის, და აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს მთხოვნელს მოწმობას მის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლების მოპოვების შესახებ.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი უცხოელი, რომელიც რესპუბლიკის გარეშე სცხოვრობს, იმ პირობით კი, რაც მან უნდა შეასრულოს ამა დეკრეტის 1-ლი მუხლის ყველა სხვა მოთხოვნა. ამ პირობა განცხადება უნდა გაუკზავნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს უშუალოდ, ან და საქართველოს რესპუბლიკის საზღვარ-გარეთის ახლობელ დიპლომატიურ წარმომადგენლის შემწეობით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განკარგულებით სწარმოებს რეგისტრაცია და საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნება საქართველოს მოქალაქეებად მიღებულ უცხოელთა სიებისა, ხოლო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით ამის შესახებ უნდა ეცნობოს იმ უცხო სახელმწიფოს, რომლის ქვეშევრდომთაც ითვლებოდა წინა დროს მოქალაქედ მიღებული პირი.

8) საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას მიიღებს.

ბ) ვინც საქართველოს ხელისუფლებათა თანხმობის გარეშე უცხო სახელმწიფოს სამსახურში შევა, და

გ) საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც უცხო მოქალაქეს მითხოვდება.

9. იმ პირს, ვინც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწა-წყალზე ცხოვრობს და მიღებულია საქართველოს მოქალაქედ, ხოლო თავისი მოქალაქეობა ვი ურთიერთობა უცხო სახელმწიფოსთან არ მოუხსნია, უფლება არა აქვს თავის ინტერესების დასაცველად მიმართოს იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქედაც ის წინა დროს ითვლებოდა.

10. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლ. აპრილის 26-ს თარიღისა და 29 №-ის დეკრეტი — საქართველოს მოქალაქეობის მოპოების შესახებ — გაუქმებულია.

11. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატს საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

სახალხო კომისარიატის საბჭოს მდივანი
აღ. სალარიძე.

1922 წ. ივნისის 11.
ტფილისი — სასახლე.

დეკრეტი № 12

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოსი.

მეფუტკრეობის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატს საბჭო სცნობს რა მეფუტკრეობას სასოფლო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან დარგად, მისი ფართო განვითარებისა და დაცვისათვის ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს შეზღუდვა რაიმე ნორმით როგორც საფუტკრის სივრცის, ისე სკის რაოდენობისა, აგრეთვე საფუტკრის დაყოფა-დანაწილება ან მისი ჩამორთმევა; ამის მიხედვით საფუტკრები რჩება მესაკუთრეთა სრულ განკარგულებაში და არავითარ ორგანიზაციას ან კერძო პირს უფლება არა აქვს უკვე არსებულ საფუტკრების ჩამორთმევისა და სარგებლობისა.

2. აკრძალულ იქნეს ყველგვარი განკარგულება, რომელიც საზღვრავს ფუტკრის საკვებ და პირადი მოთხოვნილებისათვის საჭირო თაფლის, სანთლის, ხელოვნური ფიქის და მეფუტკრეობის ინვენტარის რაოდენობას.

შენიშვნა: საფუტკრესთან არსებული სახელოსნო, რომელიც ამზადებს მხოლოდ ამ საფუტკრის საჭირო ხელოვნური ფიქს და სხვა საჭირო საგნებს, ითვლება საფუტკრეს ქონებად და არავითარი გადასახადით არ დაიბეგრება.

3. საფუტკრე მეურნეობაზე გადასახადების გაწერა სწარმოებს იმ საერთო წესის მიხედვით, რომელიც მიღებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების მიერ სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებისათვისაც. საფუტკრე მეურნეობაზე რაიმე საგანგებო გადასახადის დაწესება აკრძალულია.

4. მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებანი ვალდებულ არიან აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ორგანიზაციით ან კერძო პირთ, რომელნიც მოისურვებენ მეფუტკრეობის წარმოებას, და მისცენ მათ ფართო საშუალება მოაწყონ საფუტკრე რაც შეიძლება შესაფერ ადგილზე.

აკრძალულ იქნეს ყოველგვარი შეზღუდვა საფუტკრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანისა, ამ მიზნისათვის სათანადო ადგილის მოძებნის და ნაშოვნ ადგილში სკის და საფუტკრე ინვენტარის გადაზიდვის დროს.

შენიშვნა: ყოველ საფუტკრე მეურნეობას ნება აქვს მიიღოს მიწათმოქმედების განყოფილებიდან მფარველობის მოწმობა.



5. აკრძალულ იქნეს საფუტკრე მეურნეობიდან ფუტკრის გადაზიდვის, გადაგზავნის და გაყიდვის შეზღუდვა.

6. გაუქმებულ იქნეს ადგილობრივ ხელისუფალთა ყოველგვარი განკარგულება და დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს.

7. ვინც ამ დეკრეტს დაარღვევს მიცემულ იქნება პასუხისგებაში საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის კანონთა ძალით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ს. თოდრია. სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 41.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საკანცელარიო ბაჟის გადიდების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წ. წლ. იანვრის 3-ს თარიღითა და 87 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-2 განყოფილებითა და იმავე იანვრის 31-ს თარიღით და 134 №-ით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებული საკანცელარიო ბაჟი გადიდებულ იქნეს:

- ა) 3.000 მანეთიდან—10.000 მანეთამდე, ხოლო
- ბ) 1.500 მანეთიდან—5.000 მანეთამდე.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

სახ. კომ. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აგვისტოს 10. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 42

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბ. ცეცხლის საქრობი საგნების გადაცემის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებისათვის.

რესპუბლიკაში ქონებული ცეცხლის მქრობელი იარაღისა, მასქანებისა და მათი ხელსაწყოს მი-

ზან შეწონილად განაწილებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და საწყობის გამგეს, სადაც მოიპოება ცეცხლის მქრობელი საქაჩავები— მისი მოწყობილობით და მიმღები და სარწყავი სახელურები, — გადასცეს, შვიდი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას.

შენიშვნა: უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული საგნები უკვე გამართულია შენობაში ცეცხლის საწინააღმდეგო მიზნით, — იგი არ გადაეცემა ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას.

2. კერძო პირი, რომელსაც აქვს ცეცხლის მქრობელი საქაჩავი და სახელური, ვალდებულია, შვიდი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან წარუდგინოს ცეცხლისაგან დაცვის განყოფილებას ცნობა საქაჩავებისა და სახელურების რაოდენობის და ზომის შესახებ— მათი ფასების აღნიშვნით.

შინაგანი დიაქეტრით 1-დიუმზე მეტი ცეცხლის მქრობელი სახელურის გადამცემ ჩვეულებად გამოყენება აკრძალულია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ა. გეგუქკარი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აგვისტოს 12. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 43.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, აღრიცხვისა და ანგარიშების დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუხ. 73. შენიშვნა ამ მუხლისა შეიცვალოს ასე:



შენიშვნა 1: ადგილობრივი საბჭოებისათვის გადასაემ თანხების ვადას და წესს ამტკიცებს ფინანსთა სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით. ამავდ 73 მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა 2: ადგილობრივი საბჭოებისათვის თანხების გადარიცხვა არა ვრცელდება 1921 წ. პირდაპირ შემოსავალზე, ხოლო არა პირდაპირ შემოსავალზე გავრცელდება 1922 წ. აპრილის 1 დან.

მუხ. 77 შეიცვალოს ასე:

77. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაანაწილოს მაზრისა, ქალაქებისა და თემების საბჭოთა შორის ამა დებულების 73 მუხლში აღნიშნული, პირდაპირი გადასახადიდან და სააქციზო ბაჟებიდან გადარიცხული თანხა პროპორციონალურად, მათი აღრიცხვის მიხედვით; დანარჩენი გადასახადი და ბაჟი კი უნდა შედიოდეს საბჭოთა სალაროში აღრიცხვის ანგარიშით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.
საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე
ფინანსთა სახალხო კომისარის
მოადგილე ბ. ბიბინიშვილი

სახ. კომ. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.
1922 წ. აგვისტოს 12.
ტფილისი — სასახლე.

შინაგ. საქ. სახ. კომისარიატი.

სირკულიარულად.

ყველა მაზრის აღმასკომს.

შრომისა და ტვირთ-ზიდვის ხარკის გასატარებლად.

დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად საქართველოს რევკომის მიერ ამა წლის 25 იანვ. № 90 დეკრეტით, შემოღებულია შრომის და ტვირთ-ზიდვის ხარკი. თანახმად ამ დეკრეტისა ყველა შრომის უნარიანი მიმაკაცი 18-დან—50 წლამდე ვალდებულია მუშა-საქონლით წლის განმავლობაში გამოვიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობის სამუშაოზე უფასოდ მ დღის განმავლობაში; სტიქიურ უბედურების (ცეცხლი, წყალდიდობა და სხ.) ლიკვიდაციისათვის გაწეული შრომა შრო-

მის და ტვირთ-ზიდვის ხარკის ნორმის გასატარებლად. შრომის და ტვირთ-ზიდვის ხარკის წესით შესრულებულნი უნდა იქნეს გზების და არხების გაყვანა-შეკეთება და სხვა. გასულ თვეში ნიაღვარმა ზოგიერთს ადგილებში გააფუჭა გზები, ამ გზების შესაკეთებლად როგორც უმაღლეს სახ. მეურნეობის საბჭომ, აგრეთვე სათანადო ადგილობრივ ორგანოებმა მიმართეს მაზრების და თემების აღმასკომებს, რათა მიეწოდებინათ მუშა ხელი გზების შესაკეთებლად, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა არ შეუწყო ხელი და მუშა არ მიაწოდა; უკანასკნელმა გარემოებამ შეაფერხა გზების გაკეთება, რაიც უარყოფითი გავლენას იქონიებს სახალხო მეურნეობის აღდგენის და გამაგრების საქმეზე.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ შესრულოთ მოწერილობა უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმისა და სათანადო ადგილობრივ ორგანოების შრომის და ტვირთ-ზიდვის საშუალებათა მიწოდების შესახებ იმ სამუშაოთა შესასრულებლად, რომელნიც გათვალისწინებულნი არიან საქართველოს რევკომის № 137 დადგენილებაში.

ამ განკარგულების შესრულებლობისათვის აღმასკომები პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად მე-10 მუხლ. საქართველოს რევკომის № 149 დადგენილებისა.

შინაგან საქ. სახ. კომის. ა. გეგეჭკორი.

საქმეთა შმართველი დ. ჩიქოვანი.

1922 წ. აგვისტოს 9.

შრომის სახ. კომისარიატი.

დადგენილება № 18.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა დაქირავებულ შრომის პირთათვის შემწეობის ნორმების გადიდების შესახებ დროებით და სამუდამოდ შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში.

იმ დაქირავებულ შრომის პირთათვის, ვისაც სოციალური დაზღვევა ეხება, აგრეთვე მათი ოჯახის წევრთათვის, შრომის უნარის დროებით და სამუდამოდ დაკარგვის შემთხვევებში დაწესებული შემწეობისა და პენსიების არსებული ნორმების შესაცვლელად, შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა:



1922 წლის 15 აგვისტოდან შემოდებულ იქნას შემწეობის შემდეგი ნორმები:

1. ავადმყოფობის გამო კასის მონაწილეს მიეცეს იმდენი, რამდენსაც შეადგენდა მისი სრული ფაქტიური ქირა.

2. კასის მონაწილე ფიზიკური შრომის ქალებს შემწეობა მიეცეთ ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ ანგარიშით იმავე ვადებში შრომის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 27 დეკემბრის დადგენილება) ე. ი. რვა კვირის წინ მშობიარობამდე და რვა კვირის შემდეგ მშობიარების შემდეგ, ხოლო გონებრივ შრომის ქალებს — ექვს კვირის წინ მშობიარობამდე და ექვსი კვირის შემდეგ მშობიარების მერე.

შენიშვნა მე-2 მუხლში აღნიშნულ შემწეობის გარდა კასის მონაწილე ქალებს მიეცეთ ერთდროული შემწეობა — 500.000 მან.

3. კასის მონაწილე დედებს, რომელნიც ძუძუთა გაეშვება აწოვებენ ჩვეულებრივ შემწეობის მოსპობის შემდეგ (მე-2 მუხლი) მიეცეთ ბავშვების საკვებათ შემწეობა, რომელიც უნდა უდრიდეს დღეში თითო ჰიქა („ჩარუჟკა“) რძის ღირებულებას, რძის ღირებულებას ადგილობრივი ფასების მიხედვით არკვევენ დაზღვევი ორგანოები, ეს შემწეობა ფიზიკური შრომის ქალებს უნდა მიეცეთ შვიდი თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენთ შვიდ ნახევარ თვის განმავლობაში.

4. კასის მონაწილეთა დასაფლავების ხარჯების დასაფარავად იმათ, ვინც მიცვალებულს დასაფლავებენ, მიეცეთ ერთდროულად 2500.000 მ.

შემწეობა მონაწილეთა ოჯახის წევრებს.

5. კასის მონაწილეს ცოლს (თუ იგი არსად მსახურებს) მშობიარობის გამო ეძლევა ერთდროული შემწეობა — 500.000 მან.

6. ოჯახის იმ წევრის გარდაცვალების გამო, რომელსაც სავსებით კასის მონაწილე ინახავდა, ეძლევა ერთდროულათ: თუ გარდაცვლილი 10 წლამდე იყო — 1.000.000 მან., თუ 10 წლისაზე უფროსი — 1.5000.000 მან.

პენსიები შრომის ინვალიდებს, ქრვივებს და ობლებს.

7. ყველა ძველსა და ახალ პენსიონერს პენსიად მიეცეს ორი მესამედი მათი ფაქტიური ქირისა, ეს ქირა გამოანგარიშებულ უნდა იქნას ამა თუ იმ ადგილას მიღებულ განაკვეთების მიხედვით.

შენიშვნა: ოჯახის პატრონებს ეძლევათ მე-7 მუხლში აღნიშნული სრული პენსია, ხოლო მარტოხელებს — ნახევარი.

8. ამ დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნული პენსიები, შრომის დაკარგულ უნარის რაოდენობის შესაფერად, მიეცეთ იმ დაზღვეულებს. რომელთაც შრომის უნარის 30 პროცენტზე მეტი დაჰკარგეს.

9. დადგენილებანი სოციალურ დაზღვევის ყველა დამატებით სახეების შესახებ ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

10. ყველა იმ საკითხის განსამარტებლად, რომელიც აღიძრება ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს, უნდა მიმართონ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალურ დაზღვევის განყოფილებას.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ა: მიქაძე.

შრომის სახ. კომ. სოც. დაზღვევის განყოფილების გამგე ა. იაშვილი.

დადგენილება № 19.

შრომისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე შრომის და ტვირთზიდვის ხარკისა და ბეგარის გავრცელების შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სამზღვრებში ყოფილ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი ისდიან შრომისა და ტვირთზიდვის ხარკს და ბეგარას თანაბრად საქართველოს ქვეშევრდომებთან და ექვემდებარებიან იმ დარგში არსებულ კანონებს და წესებს.

2. შრომის ხარკი და ბეგარა არ ეხება უცხო სახელმწიფოთა იმ ქვეშევრდომებს, რომელთაც მინიჭებულიაქვთ ექსტერიტოლიარული უფლებანი.

3. აკრძალულია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ისეთ სამუშაოზე გამოყვანა შრომის ხარკით და ბეგარით, რომელსაც დამოკიდებულება აქვს რესპუბლიკის თავდაცვის საქმესთან, მაგალითებრ: სამხედრო სიმაგრეთა აშენებისა, თბილისების გაკეთების და მსგავს შემთხვევებში.

4. ამ დადგენილების გამოქვეყნებით უქმდება შრომის და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატების მიერ წინედ გამოცემული დადგენილება უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე შრომის ბეგარის გავრცელების შესახებ.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე ა. მიქაძე. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ბ. მდივანი.

შრომის ხარკის და ბეგარათა განყ. გამგის მ. ა. ნასყიდაშვილი.

17 აგვისტო 1922 წ.

ქ. ტფილისი.

დადგენილება № 20

საქ. ს. ს. რეს. შრომის სახალხო კომისარიატისა ზედმეტ მუშაობის შესახებ.

წარმოება-დაწესებულებებში ერთგვარი პრაქტიკის დამყარებისათვის და ზედმეტი სამუშაოს შესახებ აღძრულ საკითხთა გადაჭრის მიზნით შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად ადგენს:

1. სამუშაო წარმოებასა და დაწესებულებაში, რომელიც ადმინისტრაციის წინადადებით სრულდება ნორმალურ სამუშაო დღის გათვალისწინებით, ითვლება ზედმეტ მუშაობად.

2. ზედმეტი მუშაობა შეიძლება დაშვებულ იქნეს.

ა) იმ სამუშაოს საწარმოებლად, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივ უზედურების და საშიშროების ასაღწევად.

ბ) ისეთი სამუშაოს საწარმოებლად, როგორცაა წყალსადენი, განათება, კანალიზაცია და ტრანსპორტის საქმე და აგრეთვე ასაშორებლად ყველა შემთხვევათა და მოულოდნელ გარემოებისა, რაც კი მათ წესიერ მსვლელობას არღვევს.

გ) როცა აუცილებელია დასრულება დაწყებული სამუშაოსი, რომელიც გაუთავალისწინებელ შემთხვევითი და ბრკოლებისა და წარმოების ტექნიკური პირობების გამო, რომელიც არ არიან დამოკიდებულნი ადმინისტრაციაზე. ვერ იქმნა დასრულებული ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში, უკეთეს ამ მუშაობის შეჩერებას შეუძლია გამოიწვიოს მანქანების და მასალის გაფუჭება.

დ) როცა ხდება დროებითი მუშაობა შესაკეთებლად და აღსადგენათ მექანიზმისა და მოწყობილობათა იმ შემთხვევაში, უკეთეს ამათი მოუწესრიგებულობა იწვევს მრავალ მშრომელთა მუშაობის შეწყვეტას.

3. ზედმეტი მუშაობა, რომელიც ნაჩვენებია პარაკრატებში ა, ბ, გ და დ ხდება წარმოების გამგეობის ორგანოთა განკარგულებით. ეს უკანასკნელი ზედმეტი მუშაობის შემოდების შესახებ დაუყონებლივ ატყობინებენ შრომის ინსპექტორს, ხოლო სადაც ასეთები არ არიან, — შრომის განყოფილებას.

4. მე 2-ე მუხლში მოხსენებულ შემთხვევაში ზედმეტი მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს დღე და ღამეში.

შენიშვნა: სოფლის მეურნეობაში ზედმეტი მუშაობის ნორმები წესდება განსაკუთრებული დადგენილებით, რომელიც აწესრიგებს მშრომელთა სამუშაო დროს სოფლის მეურნეობაში.

5. ზედმეტ სამუშაოზე არ დაიშვებიან ის პირნი, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წელი.

6. ზედმეტი მუშაობისათვის გასამრჯელო ეძლევათ ყველა მუშა მოსამსახურეებს პირველ ორ ზედმეტ საათში ერთნახევარჯერ მეტი ჩაოდენობით

ჩვეულებრივ სატარიფო საათთან შედარებით, ხოლო შემდეგ საათებისთვის აგრეთვე უქმედდება ღამის დამის მუშაობისათვის-ორმაგად.

შენიშვნა: გასამრჯელო ეძლევა მხოლოდ იმ ზედმეტი მუშაობისთვის, რომელიც ხდება სამუშაოს ხელმძღვანელთა ჩვენებით. იმ სამუშაოსთვის, რომელსაც მშრომლები შეასრულებენ ზედმეტ საათებში თავის ინიციატივით და სამუშაოს ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშე, გასამრჯელო არ მიეცემა.

7. იმ მუშა-მოსამსახურეთ, ვინც ნაჭრობით მუშაობს, ზედმეტ მუშაობისთვის გასამრჯელო მიეცემა პირველ ორ ზედმეტ საათში ერთნახევარჯერ მეტი, ხოლო შემდეგ საათებისთვის, ღამის და უქმედების მუშაობისთვის, დაწესებული ქირის ორმაგი ჩაოდენობა. თუ მუშა იცის ნაჭრობით და სააკორლო სამუშაოს დაწყების წინ, რომ სამუშაო უნდა სრულდებოდეს აგრეთვე ზედმეტ საათებში, არავითარი დამატება ჩვეულებრივი ფასის ზევით არ დაიშვება.

8. შესრულებულ ზედმეტ მუშაობათა გასამრჯელოს უწყება აუცილებლად უნდა იქმნეს დამტკიცებული პროფესიონალურ კავშირის მიერ. თუ უწყებას არ ექმნა პროფესიონალური კავშირის ვიზა, ზედმეტ სამუშაოთათვის გასამრჯელოს მიცემა არას გზით არ დაიშვება.

9. დაწესებულების ან წარმოების ზედმეტი მუშაობა ორგანოთა გამგეობის მიერ უნდა იქმნეს შეტანილი განსაკუთრებულს ზედმეტ მუშაობის ჩასაწერ წიგნში.

10. ამ დებულებათა გამოქვეყნებით უქმდება ამავე საკითხის შესახებ ყველა წინად გამოცემული დადგენილებანი და სხვ.

11. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე ა. მიქაძე.

შეთანხმებულია: პროფკავში.
საბჭოს მდივანი კ. ოდილავაძე.

შრ. სახ. კომ. შრომის დაცვის განყოფილების გამგე ს. გოდაბრელიძე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ბრძანება № 121

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარისა.

გამოეცხადოს მადლობა ბორჩალოს მაზრის პოლიტიბუროს უფროსს ანხ. მჭედლიძეს, სამძებრო განყოფილების გამგეს ანხ ერვანდ მარუტოვს და უფროსს მილიციონერს რუბენ მარუტოვს, რომლებმაც დიდი სიფხიზლე და ენერჯია გამოი-

ჩინეს და შეიპყრეს გამტაცებელნი სახაზინო ფულისა, რომელიც ამა წლის 1 აგვისტოს ბორჩალოს მაზრის გადასახადთა განყოფილების გამგეს მიჰქონდა ხაზინაში ჩასაბარებლად ლუქსენბურგის ახალშენიდან ქ. შულავერში. ამა მკედლიძეს მიეცეს ჯილდოთ 5 000.000 მანეთი, ერვანდ მარუტოვს 4.000.000 მანეთი, ხოლო უფროსს მილიციონერს რუმენ მარუტოვს 3.000.000 მანეთი.

ასლი ამ ბრძანებისა გაეგზავნოს ცნობათ საქართველოს საგანგებო კომისიის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და თბილისის ბეჭდვითი ორგანოებს-გამოსაქვეყნებლათ.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

1922 წ. აგვისტოს 11.

განსაკრებულება.

ფინანსთა სახალხო კომისარისა.

თანახმათ 1921 წ. 26 ივლისის № 61 დეკრეტის მე-3-ე ნაწილისა და ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოთა თანხმობისა ა. წ. 9 მაისის განკარგულების გასაუქმებლად ფინანსთა სახალხო კომისარმა დაადგინა: გადაიღოს 1922 საგადასახადო წლისთვის სახელმწიფო სარეწავი გადასახადის გაწერის ვადები შემდეგ ნაირად:

1. გადახდელთათვის ხარჯის ფურცლების დაგზავნა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 სექტემბრისა.
2. გადახდელთა მიერ რაიონის საგადასახადო საკრებულოებში სავასუხოების შეტანა ა. წ. 1 ოქტომბრისათვის და 3. გადასახადის ხაზინაში შეტანა ა. წ. 15 ოქტომბრისათვის.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ბიბინეიშვილი.

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე ბეზირვანიშვილი

1922 წ. აგვისტოს 17 ქ. თბილისი.

ს.ს. მ. შ. რ. უ. შ. ლ. ს. ა. ბ. თ.

„დამტკიცებულია საქ. სოც. საბჭო-რეს. სახ. კომის. საბჭ. 1922 წ. 20 ივლისის დადგენილებით. ოქმი № 21 მუხლი № 21“.

განსაკრებულ დებულება.

ჭიათურის რაიონის შავიქვის სამადნეების და ქარხნების მომავალი ექსპლოატაციის პირობების შესახებ.

(1921 წლის 6 აპრილის № 17 დეკრეტის მე-9 მუხლის დამატება და განვითარება საქართვე-

ლოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 1921 წლის 23 ივნისის დადგენილებისა).

§ 1. ქიათურის შავი ქვის რაიონის მრეწველებსა და ფირმებს (როგორც ადგილობრივს, ისე უცხოელებს), რომელთაც აქვთ მოწყობილი წარმოება შავი ქვის მადანის ამოსაღებათა და გასამდიდრებლათ და რომელნიც ორი თვის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, შეიტანენ სამთო კომიტეტში წერილობით განცხადებას იმ სამადნე ადგილების იჯარით აღების სურვილის შესახებ, რომელიც მათ მფლობელობაში იყო საკუთრებისა ან იჯარის უფლებით, 1921 წ. 26 თებერვლისათვის, ასეთები მათ გადაეცემათ ამ დადგენილების ქვემოთხამოთვლილ პირობებში.

შენიშვნა: ეს უფლება არ ვრცელდება მხოლოდ იმ მრეწველებსა და ფირმებზე, რომელთა მფლობელობის ქვეშ მყოფ შავი ქვის მადნიანი მიწების სივრცე არ აღემატებოდა 1921 წლის 26 თებერვლისათვის 10 ქცევას, ან რომელთაც ეკუთვნოდათ გასარეცხი მოწყობილობანი, რომლის წლიური ფაქტიური წარმოება არ იყო ხუთასი ათასი (500,000) ფუთ გარეცხილ პროდუქტზე ნაკლები.

შენიშვნა 2: ქარხნის წლიური წარმოება გამოიანგარიშება ერთი რვა საათიანი წყების მიხედვით და ამასთან თვითეული ქარხნისათვის სამუშაო დღეების რიცხვს განსაზღვრავს სამთო კომიტეტი.

§ 2. მრეწველებისა და ფირმებისათვის გადასაცემი მიწის სივრცეს (თანახმად § 1-სა) საზღვრავს სამთო კომიტეტი და ამტკიცებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. ხსენებული ადგილი უნდა შეიცავდეს საშუალოდ მადანის რაოდენობის 48 პროც. მთელი შავი ქვის, რომელიც გამოიანგარიშება 1914 წლის წინამორბედი (1911, 1912, 1913 წლები) სამი ერთ ერთი წლის ყველაზე უფრო ნაყოფიერი წარმოების იჯარის ვადაზე გარეულებით.

იმ მრეწველებსა და ფირმებს, რომელთაც 1911—1913 წლებში მხოლოდ მუშაობა დაიწყეს ან და შეიძინეს მიწები მხოლოდ 1913 წლის შემდეგ, ან არა და ვერ მოახერხეს მადანის ამოღების გაფართოვება და განვითარება, შეუძლიათ მიიღონ ადგილები იმის მიხედვით თუ როგორია ამ ადგილების ტენიკური მოწყობილობა და არის თუ არა დაწყებული მოსამზადებელი მუშაობა.

შენიშვნა 1: მალარობის ტენიკური რაციონალური დამუშავების მიზნით და მიწების დრო გამოშვებითა და შეცვლითი სარგებლობის თავიდან ასაცილებლად, მხარეთა შეუთანხმებლობის დროს, სამთო კომიტეტს უფლება აქვს მოახდინოს იჯარით გაცემულ ადგილების გადაცვლა სახაზინო, ან ფირმებისათვის გადაცემულ ადგილებზე, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით.

შენიშვნა 2: ის მიწები, რომელნიც არ

იქნებთან ვაცემულნი § 2 თანახმად, დანარჩენ თავისუფალ შავი ქვის სამადნეებთან ერთად, შეადგენენ სახელმწიფო ფონდს და შესაძლებელია ვაცემულ იქნენ სამთო კომიტეტის მიერ, ამ დებულებათაგან დამოუკიდებელიც.

§ 3. შავი ქვის იმ მიწების იჯარის ვადა, რომელიც ვაცემულნი იქნებთან §§ 1 და 2 თანახმად, განსაზღვრულია 50 წლით.

შენიშვნა 1: საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ მრეწველს უპირატესი უფლება ეძლევა ახალი ვადით კონცესიის მიღებაზე.

§ 4. ცალკე თვითეული ფირმისათვის მადანის ამოღების ყოველწლიური მინიმუმი განისაზღვრება თვითეული მიმდინარე საიჯარო ვალისათვის იმ პროცენტული ნაწილის მიხედვით, რომელიც გამოხატავს მის მონაწილეობას ჭიათურის რაიონში შავი ქვის საერთო ამოღებაში.

შენიშვნა 1: შავი ქვის საერთო ამოღების სავალდებულო მინიმუმს საზღვრავს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო კომიტეტი, ბაზარის მდგომარეობის მიხედვით ისე, რომ ეს მინიმუმი არ შეიძლება იყოს მეტი შავი მადნის იმ ნახევარზე, რომელიც გაქონდათ ჭიათურის შავი ქვის რაიონიდან წინანდელ საკალენდრო წლის განმავლობაში.

შენიშვნა 2: პროცენტული ნაწილი შავი ქვის საერთო ამოღებაში განისაზღვრება ფირმებისათვის გადაცემული მიწების სივრცის რაოდენობისა და მათში არსებული შავი ქვის მირაგის გამოანგარიშების მიხედვით.

შენიშვნა 3: მინიმუმის ამოღების ვალდებულება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ჭიათურის რაიონიდან გატანილი იქნება ფარმების § 5 თანახმად ქონებული შავი ქვის მირაგის ნახევარი, ხელშეკრულების დადების დროს.

შენიშვნა 4: მაქსიმალურ ვადას, § 5 თანახმად არსებულ მირაგის გატანისას და § 4 ძალაში შესვლისას, საზღვრავს თვითეული ფირმისათვის სამთო კომიტეტი. ამასთანავე ერთად ეს ვადა არ შეიძლება იყოს 5 წელზე მეტი დღიდან ხელშეკრულების დადებისა.

§ 5. ყოფილი იმ მრეწველისათვის, რომელსაც იჯარით ეძლევა მიწა, წესდება ერთიანი საიჯარო გადასახადი, ფუთზე ნახევრიდან 1 და ერთი მეოთხედს კაპ. ანგარიშზე. ვაცემულ მიწების კატეგორიების მიხედვით.

მადანის ის რიცხვი, რომელიც ეკუთვნის თვითეულ მრეწველსა თუ ფირმას და რომელიც მოთავსებულია ბაქანებზე, ქარხნებსა და სამადნე-

ებში და აგრეთვე მთელი რაოდენობა „ნაცხროლის“ დარჩენილი მადანისა გამოანგარო შეძლების უნდა იქნეს მიწების იჯარით ვაცემის დროს, „ნაცხროლისა“ და გარეცხილი მადანის შავი ქვის შემაღვენლობის 52 პროც. გატანით.

ამგვარი საშუალებით გამოანგარიშებული თვითეული ფირმის მზად არსებული მირაგის გაორკეცებული რიცხვის გატანამდე, საიჯარო გადასახადი განისაზღვრება ფირმაზე გაწერილი საშუალო საიჯარო გადასახადის ნახევარით.

იმ მრეწველსა და ფირმებს, რომელსაც არ მიუღიათ მიწები და რომლის გამოც მათ შეწყვიტეს მუშაობა, უფლება აქვთ გაიტანონ დარჩენილი მირაგი საიჯარო გადასახადის გადახდის გარეშე.

შენიშვნა 1 ხსენებული დებულება ვრცელდება მთელ იმ მადანზე, რომელიც გატანილ იქნა 1921 წლის 23 თებერვლის შემდეგ.

§ 6. საიჯარო გადასახადი გადახდილ უნდა იქნას გატანილ შავი-ქვის თვითეულ ფუთზე ყოველი საკალენდარო წლის მეოთხედის გასვლის შემდეგ, მადანის გატანის დროს (ფრანკო-სადგური გაგზავნისა ჭიათურის შავი ქვის სამრეწველო რაიონისა), თანმხმად რკინის გზის დოკუმენტებისა 15 დღის განმავლობაში, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო კომიტეტის მიერ, ფირმისათვის ანგარიშის ჩაბარების დღიდან.

შენიშვნა 1: საიჯარო გადასახადი არ შეიძლება აღებულ იქნეს § 4 მიხედვით და წესებულ ამოღების მინიმუმზე უფრო მცირე, გინდ ამა თუ იმ ფირმას გაეტანოს ამ მინიმუმზე უფრო ნაკლები რაოდენობა.

§ 7. თუ საჭირო იქნება მთავრობას უფლება აქვს მიიღოს შავი ქვა საიჯარო გადასახადის მაგივრად, არსებულ ფასების მიხედვით, — ფრანკო ადგილი პროდუქტების მიღებისა.

§ 8, წარმოებისათვის საჭირო (მალაროებისა და ქარხნების მოსაწყობად, დამხმარე მოწყობილობათა გასაკეთებლად, საცხოვრებელი ადგილებისათვის, მიმოსვლის გზებისათვის და სხვ.) მიწების ზედა პირი ეძლევა მწარმოებელს მიწის ამ ზედაპირის მეპატრონესთან შეთანხმებით ან და იძულებითი ჩამორთმევით, თუ კი ასეთი შეთანხმება არ მოხდება, ნამდვილი მოთხოვნების სიდიადეს საზღვრავს სამთო კომიტეტი.

§ 9. საიჯარო გადასახადი მრეწველისათვის გადაცემული მიწის ზედაპირისა, განისაზღვრება მისი ან მის მახლობლად მდებარე ადგილების საშუალო ორმაგი შემოსავლით, რომელიც მას ქონდა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და ეძლე-



ვა მიწის მოსარგებლეს ან შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში ამ უკანასკნელის სახეობე წინდაწინ ყოველწლიურად. გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა ეკისრება კომისიას, რომელიც შევლენ წარმომადგენლები სამთო კომიტეტის, სათანადო აღმასკომისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და დაინტერესებული მხარეებისა.

§ 10. მრეწველს უფლება ეძლევა ისარგებლოს იმ წყლებით, რომელიც იქნება მიწების ზედაპირის ფარგალში და იმ პირობით, რომ არ დარღვიოს ასეთივე უფლება მეზობელ მიწების მოიჯარადრისა.

§ 11. აკრძალულია ისეთ სამრეწველო მუშაობის წარმოება, რომელიც ხელს უშლის მეზობელ მიწების სამრეწველო მიზნებისათვის წყლით სარგებლობას.

§ 12 წყლების, გასარეცხათ ან სხვა ტექნიკური მიზნებისათვის გამოსაყენებლად, საჭიროა სათანადო ნებართვის აღება.

§ 13. მრეწველს უფლება აქვს საერთო წესით საქციო საფუძველზე მოაწყოს წარმოება, ხოლო ამხანაგობის შედგენა და საერთოდ ფიზიკური თუ იურიდიული პიროვნებისათვის თავისი საიჯარო ხელშეკრულებით მიღებულ უფლების საფუძველზე ან ნაწილობრივ გადაცემა, მრეწველს შეუძლია მხოლოდ სამთო კომიტეტის წარდგენითა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით, მოიჯარადრის გარდაცვალების შემდეგ მისი იჯარა გადადის მის კანონიერ მემკვიდრეებზე, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკაში არსებული მემკვიდრეობის კანონებისა.

§ 14. ხელშეკრულების დადების შემდეგ, მრეწველი ვალდებულია სამი თვის განმავლობაში წარადგინოს სამთო კომიტეტში, დასამტკიცებლად მუშაობის დაწერილებითი გეგმა, სადაც აღნიშნული უნდა იყოს წინად წარმოებული მუშაობის სახე და თან დართული უნდა ქონდეს პროექტი მანდების ახალი დამუშავების, დასახმარებელ მოწყობილობათა აგებისა (ზრემსბერგი, დასაშვები და სხვ), ქარხნებისა და საცხოვრებელი ბინების მოწყობისა და მუშაობის დაწყება შეუძლია მხოლოდ ამ პროექტების დამტკიცების შემდეგ ან და სამთო კომიტეტის მიერ მუშაობის დაწყების დასტურით; სამთო კომიტეტის ამ გვარი ნებართვა უნდა მოხდეს ერთი თვის შემდეგ დღიდან სამთო კომიტეტში პროექტების წარდგენისა, ამ შემთხვევაში თუ ვადაზე ნებართვა მიღებული არ იქნა პროექტი დამტკიცებულად ჩაითვლება.

§ 15. სამთო კომიტეტს აქვს მუშაობაზე ტექნიკური კონტროლის წარმოების უფლება. იმ შემ-

თხვევაში თუ შენიშნული იქნა პროექტის პირობების დარღვევა, ან ტექნიკური შეცდომანი, ან თვით ხალშეკრულების პირობების დარღვევა. სამთო კომიტეტის წარმომადგენელი ადგენს ოქმს და უგზავნის მას კომიტეტს, რომელიც მოსთხოვს მრეწველს განსაზღვრულ ვადაში ამ ნაკლის გამოსწორებას.

§ 16. თუ განსაზღვრულ ვადაში ეს ნაკლი გამოსწორებული არ იქნა, სამთო კომიტეტი აჯარიმებს მრეწველს. 150 მაათამდე ოქროთი და შეუძლია მომავლისათვის, ნაკლის გამოსწორებამდე, შეაჩეროს მუშაობის წარმოება იმ ადგილებში, სადაც შემჩნეულია ეს ნაკლი და აუკრძალოს მრეწველს შემდეგი მუშაობის წარმოება.

§ 17. § 4-ში აღნიშნულ პირობების მრეწველის მიერ სამგზის შეუსრულებლობა იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას სასამართლოს გზით და ქონებისა და მოწყობილებას მოექცევიან თანახმად § 22, 23 და 24-სა.

§ 18 მრეწველები და ფირმები მუშაობის საწარმოებლად ქირაობენ მუშებს და მოსამსახურეთ, უმთავრესად ადგილობრივ მოქალაქეთაგან ერთიცა და მეორეც შეიძლება იყვნენ არა ადგილობრივი მოქალაქენიც, მაგრამ მათი დაქირავება ხდება შრომის სახალხო კომისარიატის ნებართვით. მოიჯარადრეებს აქვთ სრული თავისუფლება თავის რწმუნებულის და უმაღლეს ადმინისტრაციული პერსონალის არჩევასა და დანიშვნაში.

§ 19. მრეწველს ეძლევა გარანტია რეკვიზიციიდან განთავისუფლებისა, როგორც მთელი წარმოებისა სავსებით ან მისი ნაწილისა, ისე ამოღებული მადინისა ან წარმოებით გადაამუშავებული პროდუქტებისა.

§ 20. მრეწველს უფლება ეძლევა უფარი სთქვას მომავალ იჯარაზე იმ ვადის გასვლამდე, რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულებაში იჯარის აღებაზე უარის განცხადების შესახებ მრეწველი ვალდებულია აცნობოს სამთო კომიტეტს ერთი წლით ადრე. წარმოების მოწყობილობის საგნების მიმართ ძალაში რჩება § 22, 23 და 24.

§ 21. მოიჯარადრეს აკრძალული აქვს გაიტანოს ქიათურის სამთო სამრეწველო რაიონიდან რაიპე მოწყობილობის საგანი სამთო კომიტეტის ნებართვის გარეშე.

§ 22. საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, წარმოების ყოველგვარი უძრავი მოწყობილობა, როგორც მაგალითად; ყველა შენობები, მოწყობილობა და სტაციონარული ხასიათის შენობანი სამადნო, აგრეთვე გასამაგრებელი მოწყობილობანი, მიმოსვლის გზები, ფრემსბერგი, და-

საშვები. მიღები და სხვ. გადადის საესებით გამართულნი უფ-სოდ სახელმწიფოს საკუთრებაში.

§ 23. წარმოების სხვა ტექნიკური მოწყობილობის საგნები, მანქანები, ხელსაწყოები, ბაგირები რონოდანები (ВАГОНЕТКИ) ტექნიკური და სამეურნეო ინვენტარი და მასალა შეიძლება შეისყიდოს მთავრობამ იმ ფასით, რომელსაც განსაზღვრავს შერეული კომისია სამთო კომიტეტის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და მრეწველების წარმომადგენელთაგან შემდგარი, მაგრამ ამასთან კომისია ხელმძღვანელობს მანქანების მდკომარეობით და ამორტიზაციით და შეისყიდის მხოლოდ არა ამორტიზაციულ ნაწილს, შეფასება სწარმოებს სპეციალურ ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც

იმუშავებს სამთო კომიტეტი და ამტკიცებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

§ 24. ის მოწყობილობის საგნები რომელნიც არ შეუსყიდია მთავრობას უნდა გატანილ იქნეს ამ ადგილიდან ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო თუ ამ ხნის განმავლობაში, ეს შესრულებული არ იქნება, ყველა დარჩენილი საგნები გადადიან უფასოდ მთავრობის საკუთრებაში.

განსაკუთრებული დებულება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომ.

მოადგილე ვ. ავაკოვი.

სამთო კომიტეტის თევმჯდომარე წულუკიძე

ა რ ა - ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

I. ზოგადი დებულებაი.

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, როგორც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შინამმართველობის ცენტრალური ორგანო, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს.

2. ის იცავს რესპუბლიკის საზღვრებში რევოლუციონურ წესრიგს და იღებს საჭირო ღონისძიებათ დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

3. თვალყურს ადევნებს ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოთა მიერ გამოცემული დეკრეტების, დადგენილებების, ბრძანებების და სხვათა ცხოვრებაში სისწორით ვატარებას.

4. თვალყურს ადევნებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული დადგენილებანი არ ეწინააღმდეგებოდენ რესპუბლიკის კანონებს.

5. აწესებს მაზრების, ქალაქების და თემების ცენტრალურ საზღვრებს.

ხელმძღვანელობს კომუნალურ მეურნეობის ორგანიზაციის და განვითარების საქმეს.

7. იმუშავებს, საჭირო შემთხვევებში, დეკრეტების, დადგენილებების და სხ. საკანონმდებლო ხასიათის აქტების პროექტებს და ადგენს მათ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოში კუთვნილებისამებრ — დასამტკიცებლად.

8. სცემს სავალდებულო დადგენილებებს და ბრძანებებს თავის კომპეტენციის ფარგლებში.

9. უდგენს მოხსენებებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ან სახ. კომისართა საბჭოს, იმ დადგენილებათა და განკარგულებათა შეცვლისა, ან გაუქმების შესახებ, რომელნიც კომისარიატის გამგებლობას ეკუთვნიან და გამოცემული არიან საქართველოსავე ჯონოპიურ ნაწილებში, თუ ასეთნი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, ან საერთოთ სახელმწიფოში არსებულ კანონმდებლობას.

10. მოახსენებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, დამოუკიდებლათ, ან, თუ საჭიროება მოითხოვს, სათანადო სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სამაზრო და საქალაქო საბჭოების ყრილობების მიერ გამოტანილ დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმების შესახებ. ასევე იქცევა შინაგან საქმ. სახ. კომისარიატი, როდესაც ასეთი დადგენილება ან განკარგულება მიღებული არის სამაზრო ან ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, მაგრამ ამ შემთხვევებში მას უფლება აქვს შეაჩეროს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების, ან განკარგულების ასრულება მანამდის, სანამ აღძრულ საკითხს გადაწყვეტდეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

11. ზედამხედველობას უწევს ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოების მოქმედებას გარდა წინამუხლში აღნიშნულებისა, და იხილავს და სწყვეტს მათზე შემოსულ საჩივრებს.

12. მოახსენებს სახალხო კომისართა საბჭოს სხვადასხვა ადგილებში სამხედრო წესების გამოცხადების და გაუქმების შესახებ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში დამოუკიდებლივ აცხადებს ამა თუ იმ ადგილში სამხედრო წესებს, რის შესახებ



დაუყოვნებლივ აცნობებს სახალხო კომისართა საბჭოს.

II. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აგებულება.

13. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი, რომელიც დამოუკიდებელივ არიგებს კომისარიატის ქვემდებარე ყველა საქმეებს.

14. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი პასუხისმგებელია სახალხო კომისართა საბჭოსა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე კომისარიატისა და მის ქვემდებარე ყველა დაწესებულებების მთელი მოქმედებისათვის რესპუბლიკაში შინაგან პოლიტიკის წარმოების გამო.

15. სახალხო კომისარს ჰყავს მუდმივი მოადგილე, (რომელიც იმავე დროს არის რესპუბლიკის მილიციის უფროსი).

კომისარის მოადგილე არიგებს იმ საქმეებს, რომელსაც მას კომისარი დაავილებს, ხოლო კომისარის სხვაგან ყოფნის დროს ასრულებს მის თანამდებობას.

26. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ფუნქციების მიხედვით განიყოფება შემდეგ რვა განყოფილებად:

- ა) საინფორმაციო-საინსტრუქტორო განყოფილება;
- ბ) სამილიციო განყოფილება;
- გ) კომუნალური განყოფილება;
- დ) საერთო განყოფილება;
- ე) საფინანსო განყოფილება;
- ვ) საევაკუაციო განყოფილება;
- ზ) მოჭალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის განყოფილება.
- თ) მომარაგების განყოფილება.

17. ყოველ განყოფილების სათავეში სდგას განყოფილების გამგე.

შენიშვნა: სამილიციო განყოფილების გამგეს ეწოდება განყოფილების უფროსი.

18. სახალხო კომისარიატის ყველა განყოფილებათა მუშაობას და ათანხმებს საქმეთა მმართველი, რომელსაც ჰყავს თავის მოადგილე.

19. საქმეთა მმართველი: 1) ხელმძღვანელობას უწევს განყოფილებათა მოღვაწეობას; 2) მოახსენებს სახალხო კომისარს უფრო თვალსაჩინო საქმეებს, რომელნიც კომისარიატში სწარმოებენ, ხოლო ყველა საქმეებს, რომელთაც არა აქვთ იმდენათ ღირსი და პრინციპიალური მნიშვნელობა, თითონ არიგებს განყოფილებათა გამგეების მოხსენებით;

3) იმუშავებს დეკრეტების, დემუკრეტების, ინსტრუქციების და სხვადასეთი აქტების წარმოქმნას; რომელნიც რაიმე მიზეზით კომისარიატის ცალკე განყოფილებაში ვერ იქნებიან შემუშავებულნი, ხოლო განყოფილებათა მიერ წარმომადგენელი პროექტების შესახებ თავის დასკვნას გამოსთქვამს; 4) ანაწილებს კომისარიატში შემოსულ საქმეებს და მიწერ მოწერას განყოფილებათა შორის; 5) განაგებს კომისარიატის საერთო რეგისტრაციას; 6) თვალ-ყურს ადევნებს განყოფილებებში საქმისწარმოების წესრიგს.

20. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში არსებობს იურისკონსულტის თანამდებობა.

შენიშვნა: 1: იურისკონსულტთა რიცხვის განსაზღვრა, საქიროების მიხედვით, ევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

შენიშვნა 2: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, კომისარის განკარგულებით, შეიძლება დაარსებულ იქნეს სპეციალური საკითხებისათვის მუდმივი მრჩეველის (კონსულტანტის). ერთი ან რამდენიმე თანამდებობა.

III. საინფორმაციო-საინსტრუქტორო განყოფილება.

21. საინფორმაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

1) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა თემების, მაზრების და ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტების მოწყობისა, მათთვის ამ მხრით საჭირო ინსტრუქციების მიწოდება და შემუშავება დეკრეტების, დადგენილებების, ბრძანებების და ცირკულიარების პროექტებისა, აღნიშნული კომიტეტების მოწყობის შესახებ;

2) მეთვალყურეობა და კონტროლის გაწევა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თავის დროზე და მტკიცეთ ასრულებდნ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს და სხვა ცენტრალურ ორგანოთა მიერ გამოცემულ დეკრეტებს, დადგენილებებს, ბრძანებებს და ცირკულიარებს;

3) ზომების მიღება, რომ ადგილობრივ თავის დროზე იქნეს მიღებული დეკრეტები, დადგენილებანი, ბრძანებანი, ცირკულიარები და საზოგადოათ ყველა საინფორმაციო მასალა, აგრეთვე აღნიშნული მასალის თავის მოყრა და ისე დალაგება, რომ ადგილი გახდეს საჭირო ცნობის მონახვას;

4) გაცნობა, თავის დროზე, პრესაში მოთავე-



სებულო მასალისა, რაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მის ქვემდებარე ორგანოების მოქმედებას შეეხება, და სათანადო ზომების მიღება;

5) ზედამხედველობა ადგილობრივ საბჭოთა ყრილობების არჩევნების წესიერათ ჩატარებისათვის და ამ ყრილობის თავის დროზე მოწვევის თვალყურის დევნება;

6) მეთვალყურეობა, რომ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები თავის დროზე ადგენდნენ მოხსენებებს მათი და დებუტატთა საბჭოების და საბჭოთა ყრილობების მოქმედების შესახებ, სხდომების ოქმების ასლებს, სავალდებულო დადგენილებებს და სხ. ამგვარ მასალას;

7) მთლიანი მოხსენების შედგენა სახალხო კომისარიატის და მის ქვემდებარე დაწესებულებათა მუშაობის შესახებ, უმაღლესი ხელისუფლების ორგანოთათვის წარსადგენათ.

8) გაგზავნა, ხანგამოშვებით, ინსტრუქტორ-კონტროლიორებისა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების საინსტრუქციოთ, და ამ ინსტრუქტორ-კონტროლიორების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის შედგენა

9) გამოცემა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პერიოდულ ბეჭდვითი ორგანოსი, რომელშიდაც მოთავსებული უნდა იქნეს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოსი და ყველა ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ გამოცემული დეკრეტები, დადგენილებანი, ბრძანებანი და ცირკულიარები, და რომელსაც ექნება არა-ოფიციალური განყოფილებაც, სადაც დაიბეჭდებიან წერილები: საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ, საინფორმაციო ხასიათისა და კანონების განმარტების შესახებ;

10) ახალი ადმინისტრატიული ერთეულების შედგენა და არსებული ერთეულების საზღვრების გადამიჯვნა;

11) რესპუბლიკაში მომხდარ დანაშაულობათა შესახებ ცნობების დაგროვება და ამ ცნობების პერიოდულათ წარდგენა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებისათვის.

IV. სამილიციო განყოფილება.

22. სამილიციო განყოფილება ასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რომელიც გათვალისწინებულია მუშათა და გლეხთა მილიციის ცალკე დებულებაში.

V. კომუნალური განყოფილება.

23. კომუნალური განყოფილების მოვალეობებს შეადგენს:

1) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებათა მუშაობისა და მოქმედებისა;

2) განხილვა და გადაწყვეტა საჩივრებისა, რომელნიც შემოვლენ კომისარიატში ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებათა მოქმედებაზე;

3) უძრავ ქონებათა მუნიციპალიზაციის საქმის ხელმძღვანელობა, დამტკიცება მუნიციპალიზაცია — ქმნილ-ქონებათა სიისა;

4) ახალი სახლები აშენების და ძველი სახლების შეკეთების საქმის მეთვალყურეობა;

5) მთელი საბინაო საქმის ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში;

6) განხილვა და დამტკიცება მაზრების და ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტების ხარჯთ-აღრიცხვისა.

7) ადგილობრივი ახალი გადასახადების შემოღების გამო შემოსული საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა ადგილობრივ გადასახადთა დებულებაში გათვალისწინებული წესით;

8) ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებათა შუამდგომლობის განხილვა დეფიციტების დასაფარავად სუბსიდიებისა და სხვა დახმარებებს მიცემის შესახებ.

9) საერთო სარგებლობის იმ წარმოებათა მოწყობისა და ექსპლოატაციის ხელმძღვანელობა, რომელთაც აქვთ ადგილობრივი მნიშვნელობა (ტრამვაი, წყალსადენი, კანალიზაცია, აბანოები, სამრეცხველოები და სხ.)

10) ხელმძღვანელობა ქალაქების კუთვნილი ადგილ მამულის უმჯობესათ გამოყენებისა;

11) ხანძარის საწინააღმდეგო საქმიანობის ხელმძღვანელობა: ცეცხლის-მქრობელ მოწყობილობის აღრიცხვა და წესიერათ განაწილება, ცეცხლის მქრობელი რაზმების და სხვა ორგანიზაციების, ხელმძღვანელობა;

12) შემუშავება დეკრეტებს, დადგენილებების, ბრძანებების და ცირკულიარების პროექტებისა ადგილობრივი მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით.

IV საერთო განყოფილება.

24. საერთო განყოფილების მოვალეობებს შეადგენს:

1) დახმარების აღმოჩენა საბჭოთა დაწესებულებათათვის და თანამდებობის პირთათვის, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა სისრულეში მოიყვანონ ადმინისტრატიული ხასიათის დავალებანი;



2) ცირკულიარების დაგზავნა რესპუბლიკაში შრომისა და ტვირთზიდვის ბეგარის ფაქტიური გატარებისათვის;

3) საქართველოს მოქალაქეებად მიღებული უცხოელების აღრიცხვა, მათი სიების გამოქვეყნება და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით ამის შესახებ ცნობის გაგზავნა იმ უცხო სახელმწიფოებისათვის, რომელთა მოქალაქეებად ითვლებოდნენ ისინი წინათ; აგრეთვე უცხოელთათვის პასპორტების მიცემა;

4) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა აღრიცხვა, ბრძანებების შედგენა მათი სამსახურში მიღებისა, დათხოვნისა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვინის შესახებ, მთელი მიწერ-მოწერის წარმოება.

შენიშვნა:

ეს შეეხება აგრეთვე ყველა იმ მოსამსახურეს, რომელიც კომისარიატის თანამშრომელი არ არის, მაგრამ სამსახურში დაინიშნება, დათხოვნილი იქნება, ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით;

5) მანდატების მიცემა მივლინებულ თანამდებობის პირთათვის, რეგისტრაცია სხვა დაწესებულებათა მიერ მივლინებულ თანამდებობის პირთათვის მიცემული მანდატებისა, გაცემა ყოველგვარი მოწმობებისა სხვა და სხვა შემთხვევისათვის;

6) ბეჭდების და შტემპელების ნებართვის მიცემა და ამის შესახებ მიწერ მოწერის წარმოება;

7) საქმეების წარმოება თანამდებობის პირთათვის სამსახურის აღსრულების დროს მოყვებული ზარალის ანაზღაურების შესახებ; ცხედრების გადატანის ნებართვის მიცემა და საგანგებო დანიშნულებათა ვაგონში ადგილის მიცემა;

8) იმ საქმეების წარმოება, რომელნიც ეხებიან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და ადგილობრივ ორგანოების თანამშრომელთა ჯამაგირების ტარიფს და სურსათით დაკმაყოფილებას; მიწერ-მოწერა უბედურ შემთხვევების შესახებ, როგორც არიან, მაგალითად: ცეცხლის გაჩენა, წყლით წალეკვა, მეწყერი და სხ.

9) ყველა იმ საქმეების წარმოება, რომელნიც არ შეეხებიან სხვა განყოფილებათა მოვალეობას.

VII. საფინანსო განყოფილება.

25. საფინანსო განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

1) შემოსავალ-გასავალი ხარჯთ-აღრიცხვის და მისი ცნობების შედგენა, როგორც შინაგან საქ-

მეთა სახალხო კომისარიატის, ისე მისი ქვემდებარე დაწესებულებებისათვის, და განყოფილებიდან რწმუნებულის გაგზავნა ყველა კომისიებში ახსნა განმარტების მისაცემათ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ;

2) კომისარიატის და მისი ქვემდებარე დაწესებულებისათვის კრედიტების გაცემა და განაწილება;

3) თბილისის ხაზინაში კომისარიატის განკარგულებაში გადადებულ კრედიტების განაღდება;

4) ხარჯთ-აღრიცხვის და ზედმეტ კრედიტების შემოსავალ-გასავალის, სადებოზიტო თანხების, სპეციალურ საშუალებათა, პირადი ანგარიშების და სხვა საბუხჰლტერო დაეთრების წარმოება;

5) მაზრების, ქალაქების თა თემების აღმასრულებელ კომიტეტებისათვის ინსტრუქციის მიწოდება საფინანსო საკითხების შესახებ, და მათი სალაროების რევიზია.

6) დაკმაყოფილება ჯამაგირებით, სამგზავროთი, დღიურით, სალიკვიდაციოთი და სხვა გვარი გაცემით, კომისარიატის და მის ქვემდებარე დაწესებულებათა თანამშრომლებისა;

7) საფანსო და სხვა დოკუმენტების განხილვა, და მათი სახალხო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატში დასამტკიცებლად გადაგზავნა;

VIII. საევაკუაციო განყოფილება.

26. საევაკუაციო განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

1) იმ ლტოლვილთა აღრიცხვა და რეგისტრაცია, რომელნიც მოსულან საქართველოში 1914 წლის 1 აგვისტოდან, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მიზეზით, ან რუსეთში შიმშილობის გამო;

2) აღრიცხვა და რეგისტრაცია სამხედრო და სამოქალაქო ტყვეებისა და მათი რეევაკუაცია მათ სამშობლოში;

3) გაგზავნა სამშობლოში რუსი სამხედრო ტყვეებისა, რომელნიც მიდიან რუსეთში საქართველოს გზით;

4) აღრიცხვა და რეგისტრაცია ყველა უცხოელებისა, იმის გამოსარკვევათ თუ ვინ უნდა გაიგზავნოს სამშობლოში, და ვინ უნდა დარჩეს საქართველოში;

5) სათანადო ზომების მიღება, რომ ახალი ლტოლვილები საქართველოში არ შემოვიდნენ;

6) მცხოვრებთა გადასახლების ტენიკურათ მოწყობა, როგორც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ისე საქართველოდან საზღვარ-გარეთ, და საზღვარ-გარეთიდან საქართველოში;

7) მოწყობა ყოველგვარი მასიური გადაყვან-გადმოყვანისა, სამხედროების გარდა, სხვა და სხვა უწყებათა დავალებით; გადასაყვანთა უზრუნველყოფა, მგზავრობის დროს, ბინის გამოკვებებს, სა-ნიტარულ პირობებისა და სხვა მოთხოვნილებათა მხრით.

IX. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების განყოფილება.

27. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

- 1) ზედამხედველობა გაუწიოს განყოფილების ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედებას და ხან-გამოშვებით ამ მოქმედების რევიზია მოახდინოს;
- 2) ადგილობრივ დაწესებულებათა ინფორმაცია საქმის-წარმოების შესახებ;
- 3) მეთვალყურეობა, რომ განყოფილებას თავის დროზე ეგზავნებოდეს ქვემდებარე დაწესებულებიდან ანგარიშის შესადგენი მასალა;
- 4) აღწესდება მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების შემდგენ დაწესებულებათა, მათი განაწილებისა ადგილობრივ, მცხოვრებთა რაოდენობისა თითოეულ დაწესებულების რაიონში, და ამ დაწესებულებათა მიერ შედგენილი აქტების რიცხვისა;
- 5) კარტოგრაფიის შედგენა იმ პირთა რიცხვის შესახებ, რომელნიც შეტანილი არიან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში (დაბადებულთა, დაქორწინებულთა და სხ.).
- 6) სასიგელო დავთრებიდან ცნობების მიცემა იმ პირთათვის, რომელთაც ისინი ესაჭიროებათ;
- 7) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შემდგენ დაწესებულებათა მოღვაწეობის კრების მოწყობა და ამ კრებათა ოქმების შედგენა.

X. მომარაგების განყოფილება

28. მომარაგების განყოფილების მოვალეობას შეადგენს:

- 1) მილიციისათვის საარტილერიო, საინჟინერო და სატექნიკო კმაყოფის მიღება სამხედრო უწყებიდან და ამასთან დაკავშირებული მთელი მიწერ-მოწერა;
- 2) მილიციის ტანსაცმელის და სურსათის მომარაგება;

3) საკანცელარიო წიგნების მომარაგება კომისარიატის და ქვემდებარე ორგანოების დასახელებით;

4) კომისარიატის ქონების აღწერა, მისი ზედამხედველობა და გამგებლობა.

გ ა ნ ს ხ ა დ ე გ ა ნ ი :

დავპარგე. მეტრიკული ამონაწერი № 1148 მიღებული ტფ. სინოდალურ კანტორისაგან ა. წ. 20 მაისის თარიღით. გრიგოლ ალექსის ძე ბილანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავპარგე. პასპორტი მიღებული ერევნის ქალაქის მილიციის სამართველოდან ერვანდ სარქისას ძე მანუკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავპარგე: 1) პირადობის მოწმობა, 2) მანდატი მიღებული იმიერ-კასპის ოლქის საგანგებო განყოფილებისაგან № 519 და 3) ჯვრის წერის მოწმობა მიღებული ქ. გინზბურგის სამოქალაქო აქტების ჩამწერ ქვეგანყოფილებისაგან 1921 წ. თებერვალში ვასილისა დიმიტრის ასულ ჩივარდოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტფილისის საოლქო სასამართლოს ახალციხის პირველი უბნის სახალხო მასამართლე, ამით აცხადებს, ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლის 1922 წ: 21 ივნისის გადაწყვეტილებით, რომ ახალქალაქის გარდაცვლილ მოქალაქის სვიმონ ალექსანდრეს ძე სირუნიანცის სულიერი ანდერძი, რომელიც მოხდა 1919 წ. 18 ივნისის ტფილისის ნოტარიუს ლუკოშკთან, რომლითაც იგი უძრავ-მოძრავ ქონების უანდერძებდა კარაპეტ ალექსანდრეს-ძე და გრიგოლ კარაპეტის-ძე სი: რუნიანცებს, დამტკიცებულია და გარდასულია აღსრულებაში.

ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლე ღვინიაშვილი.

მდივანი აკოპიანცი.

